ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 125 (20821) — კვირა, 27 მაისი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

გუშინ მთელს ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი დღისაძიებები, რომლებმაც კიდევ მრთხელ ცხადყო: ახლა მთავარია შრომიერთთანადგომა და მრეწველობა კონსოლიდაცია.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე 1990 წლის 23 მაისს

ეს გამოვეხმაურე გუშინდელ გამოსვლებსა და სურვილებს, — რომ პრეზიდენტს მონაწილეობა მიეღო დღის წესრიგის ცენტრალური საკითხის განხილვაში. მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ თქვენ ეს საჭიროდ სცანით.

გუშინ პრეზიდენტის სამბჭოსა და საფედერაციო სამბჭოს გაერთიანებული სხდომა, სადაც შესაბამდ განვიხილავდით მთავრობის წინადადებებს ეკონომიკური რეფორმის რადიკალიზაციის შესახებ, ჩვენ ისე დავგეგმეთ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ყრილობის ამ საღამოს სხდომაში მონაწილეობა.

ორ დარათში, რომლებსაც ხელს აწერს რამდენიმე დეპუტატი, კერძოდ, გამოითქვა სურვილი, რომ მე გამოვსმაურებოდი სუვერენიტეტის გამო მიმდინარე დისკუსიას და გამომეთქვა ჩემი აზრი. აი, რამ მომიყვანა აქ, ამ ტრიბუნაზე.

მივესალმები, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენს ყრილობას, — უაღრესად დიდმნიშვნელოვან მოვლენას საბჭოთა რუსეთისა და მთელი ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში. (ტაში).

დეპუტატები შესვენების დროს და სხვა შეხვედრებისას გამართულ სანმოკლე საუბრებში — სხვა კითხვებთან ერთად, რომლებზე მოითბირებაც ჩემთან საჭიროდ მიანნდათ და რომლებთაც მომმართავდნენ, — შეკითხებოდნენ, — რას ვფიქრობ ყრილობაზე, როგორ ეფასება მის მუშაობას, დისკუსიის ხასიათს, რა მაწუხებს, რა მომწონს და რა არ მომწონს. მაშინაც ვთქვი და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ ყრილობის წინ მუდამ არის ხოლმე პრობლემათა რთული კომპლექსი, უდიდესი პასუხისმგებლობა. თქვენ აქ მოიტანეთ ჩვენი პოლიტიზებული, აფორიაქებული სახოგადოების მთელი განწყობილება. ეს გავლენას მოახდენს დისკუსიაზე, და მე მაშინვე ვთქვი: ამისი არ უნდა შეგვშინდეს-მეთქი.

მე ვმონაწილეობ რამდენიმე ორგანოს ჩამოყალიბებაში — უკვე გარდაქმნის ფარგლებში — და უშინაური ყოველისა, შეგიბები სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობასა და უზენაეს საბჭოს. უნდა გითხრათ: ყველამ უნდა შევიძინოთ ჩვენ-ჩვენი გამოცდილება, როგორც იტყვიან, გავიაროთ ჩვენი ცხოვრების გზა. რა გაეწყობა. უნდა გავიაროთ გარკვეული გზა, უნდა გავიცნოთ ერთმანეთი, შევადაროთ ერთურთის პოზიციები, გავიგოთ, რას ამბობენ იქ, კრემლის გალავანს მიღმა, ამ სასახლის კედლებს იქით ჩვენზე, ჩვენს მუშაობაზე. ყოველივე ეს ერთად უნდა განვიცადოთ და გავიცნობიეროთ.

ამიტომ პირველი, რაც მინდა ვთქვა, ის არის, რომ მიმდინარეობს ნორმალური პროცესი, რუსეთის პარლამენტის ჩამოყალიბება. რომ არ გავაგიჟდეთ, ამ სიტუაციაში დრამატულს ვერაფერს ვხედავ. მაგრამ არც ის გვარგებს, ისე დავიჭიროთ თავი, თითქოს არაფერი არ ხდებოდეს, თითქოს ყველაფერი უდრტვინველად და ბედნიერად იყოს, ეს, ვფიქრობ, ასევე იქნებოდა სრულიად არარეალური შეფასება, სიტუაცია, რომელიც არ არის ადეკვატური პოლიტიკური ძალების განწყობილების, პოზიციების, აზრთა შეჯახებისა.

ამასთან ერთად უნდა გამოვყოთ მთავარი. დისკუსიებისათვის ამოსავალი წერტილია მდგომარეობა რუსეთის ფედერაციაში, მთლიანად ჩვენს სახოგადოებაში. იგი ყრილობაზე აღიქმება სულ უფრო მეტი წუხილითა და შეშფოთებით. ყველას აფიქრებს ქვეყნის, რუსეთის ფედერაციის ახლანდელი მდგომარეობა, და სწორედ ეს ასაზრდოებს დისკუსიებს. ანალიზის საფუძველზე უნდა შევიმუშაოთ პოლიტიკა, მისი ჩამოყალიბება ახლაც მიმდინარეობს აქ. დიდი პოლიტიკა იქმნება აქ, ამ დარბაზში. ეს ნუ დაგვავიწყდება, ამხანაგებო. დეპუტატებთან საუბრისას მე ვთქვი: გახსოვდეთ, თქვენ უკან დგანან ამომრჩეველები, თქვენს უკან დგანან რუსეთის ხალხები, ქვეყანა. ხოლო ქვეყნის უკან —მთელი მსოფლიო. კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს განსაზღვრავს თქვენს პასუხისმგებლობას, მიმდინარე დისკუსიების ტონს და ამას ვერსად ვერ გაექცევით.

სხვა საქმეა — აზრთა მრავალფეროვნება. მაგრამ ჩვენ ხომ სწორედ ამის გულისათვის წამოვიწყეთ დემოკრატიული პროცესი, საჯაროობა. თავდაპირველად მკვიდრდებოდა აზრთა პლურალიზმი, ახლა ვგულიანობთ, რომ საჭიროა პოლიტიკური პლურალიზმი, რომელიც შეძლებს შექმნას ისეთი სისტემა, საშუალებას რომ მოგვცემდა უაღრესად საფუძვლიანად, სხვადასხვა პოზიციებიდან, სხვადასხვა თვალსაზრისით ვუდგებოდეთ ნებისმიერი პრობლემის განხილვას და ამ შეჯერების საფუძველზე გამოვავლინოთ ყველაზე რაციონალური იდეები, მივანჭოთ ჰარმონია ინტერესებს.

პოლიტიკის ფორმულირებისა და ღონისძიებათა შეხუშავებისას ყრილობაზე მიმდინარე დისკუსიას ხშირად ენიჭება დაძაბული ხასიათი და ნათლად გამოიკვეთება სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ბრძოლა.

ვფიქრობ, დეპუტატებს უდიდესი წინდახედულება მართებთ. აზრთა მთელი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისინი უნდა გაერთიანდნენ მთავარი მიმართულებებით, იმ მხრივ, რაც სჭირდებთ რუსეთის ხალხებს, სახოგადოების გარდაქმნას დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპებით. მშარე, მოსწრებული ფრაზების მიღმა უნდა ვხედავდეთ არსს, რომელიც იმალება ამა თუ იმ გამოსვლაში, ამა თუ იმ კონცეფციაში.

ჩემი აზრით, ყრილობას თავისი მუშაობის ისეთი სტადია დაუდგა, როდესაც უაღრესად საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: სულ უფრო ნაკლები უნდა იყოს მტრისგობანა, სულ უფრო მეტი უნდა იყოს ღრმა ანალიზი, გამოსვლების, წინადადებების, ალტერნატივების არსში ჭვდომა, რათა ყრილობამ, რომლის წინაშე დგას ქვეყნისა და, ბუნებრივია, რუსეთის ცხოვრების კარდინალური საკითხები, — დროის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდეს, არ გაგვიცრუოს მოლოდინი.

დისკუსიაში, დეპუტატთა განსჯაში, მათს პოზიციებში, მათს რადიკალიზმსა თუ თავშეკავებაში გამოსჩენილ შეშფოთება საქმეთა მდგომარეობისათვის. ეს გასაგებია, ვერ დაეთანხმები იმას, ვისთვისაც მთელი ჩვენი ოქტომბრისშემდგომი გზა — ეს არის პირწმინდა შეცდომა, ჩიხი. ვერ დაეთანხმები იმათ, ვინც მხოლოდ ნეგატიურად აფასებს გარდაქმნას, ამტკიცებს მას არაფერი არ მოუციაო. თუმცა უკვე ის ფაქტი, რომ დღეს ამ ტრიბუნიდან ისინი ყოველივე ამას ამბობენ,— მოწმობს, რომ მათ სურთ შეგნებულად შეაცდინონ ყველანი.

ქვეყანამ უდიდესი გზა გამოიარა, იგი სხვანაირი გახდა. სახოგადოება სხვაგვარი გახდა, და ჩვენც აღარასდროს აღარ ვიქნებით ის, რანაც ვიყავით. ეს ყველაზე მთავარი წარმმძღვარია იმისა, რომ განვიხილოთ და დავძლიოთ პრობლემები, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. ასეთია ჩემი პასუხი ყველა იმათდმი, ვისაც სურს ჩირქი მოსცხოს გარდაქმნის პოლიტიკას.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ საუცხოოდ გავიარეთ მოსამზადებელი კლასი, მაგრამ მოძრაობის ძირითადი მიმართულებით გარდაქმნას საზოგადოება გამოჰყავს იმ გზაზე, რომელიც ერთადერთი მიგვიყვანს მიზნებთან, ჩვენ რომ დავისახეთ, საშუალებას მოგვცემს უკუვაგდოთ ყოველივე, რაც ბოჭავდა ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ქვეყანას, არ ანებებდა გაფურჩქვნას არც ინტელექტუალურ პოტენციალს, არც იმას, რაც ხალხთა თანამშრომლობაშია ჩაქსოვილი, და არც ჩვენს უდიდეს რესურსთა პოტენციალს. აქ ჩვენ, ამხანაგებო, შეგვეძლია დარწმუნებული ვიყოთ: ჩვენ სწორ გზას ვადგავართ. დაე, ნუ გვაცდუნებს პროცესების სიმძიმე, სიძნელე, ამიტომ ჩვენ იძულებული გავხდით შეედგომოდით მთელი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის დემონტაჟს. შეეუდექით საზოგადოების დემოკრატიზაციას, დავწყეთ დეცენტრალიზაცია ეკონომიკურ, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში, თანდათან ვძლევთ დიქტატს, მათ შორის პარტიული კომიტეტების მხრივ.

რატომ ვამბობ ამას? ჩვენ მივადექით იმ სტადიას, როდესაც არის მარაგნაკეთი, არის ძნელი, მწარე გამოცდილება. არის სამართლებრივი წინამძღვრები, ბევრი, თავისი არსით პროგრესული კანონი, რომლებსაც ამასთანავე ახასიათებთ გარკვეული ნაკლოვანებანი. კანონშეთქმედების ასეთი ტემპის დროს უზენაეს საბჭოში, — თქვენ კი რუსეთში ამას აგრძნობთ, — გარდაუვალია რაღაც დანაკარგები, ხარვეზები. მაგრამ მთავარია მოვასწროთ, შეეუქმნათ სამართლებრივი ბაზა ღრმა გარდამქმნელ პროცესებს.

ამას მიადგნენ — ფედერაციაც, ეკონომიკაც, პარტიაც და პოლიტიკური პროცესიც.

აქ ცხადია, რომ ჩვენ, თუ ყოველივე ეს განხორციელდება, სამუდამოდ გამოვტოვებთ ხელიდან ინიციატივას იმათ, ვინც ცდილობს თავგზა აგვიბნიოს, აგვაცდინოს არჩეულ გზს, გადაგვახვევინოს გზაზე, რომელიც თავადაც არ იცის, სად ამოგვაყოფინებს თავს. ზოგიერთებს ეს არც კი ანაღლებთ. არ შემოუთავაზებიათ არაფერი დიდმნიშვნელოვანი, კონსტრუქციული, მომზიდველი, რაც ოჯობებდა გარდაქმნის პოლიტიკას.

იყო ბევრი სასარგებლო კრიტიკა — მარცხნიდან და მარჯვნიდან. ეს გვიკვეთდა შეცდომებისაგან პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების დახვეწისას.

და აი, დადგა გადამწყვეტი მომენტი. თუ ყოველივე ეს განხორციელდება, მაშინ რამდენიმე წლის შემდეგ უკვე სულ სხვა საზოგადოება გვეყნება. ეს იქნება განახლებული საზოგადოება, რომელიც დაიფუძნება პრინციპებს, ჩვენ რომ ჩავაფსოვეთ გარდაქმნის პოლიტიკაში.

ამიტომ მე კონსოლიდაციის მომხრე ვარ. ყველანი უნდა განვთავისუფლდეთ უკიდურესობების, ფობიციებისაგან, დავირაზმოთ მთავარი მიზნების გარშემო, გარდაქმნის პროცესების მთავარი მიმართულებით, ჩვენ გადამწყვეტი ეტაპი დგგვიდგა, მაშ, მოდით, ყველამ ერთად ვიმოქმედოთ, თორემ ზოგ-ზოგებს ერთი სული აქვთ, ხან მიკროსკოპით, ხან კი ტელესკოპით უსათუოდ გამოჩნდიკონ ჩავარდნა. ერთი სიტყვით, ჩვენ ყველამ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მტკიცედ დავაწინაუროთ გარდაქმნის პროცესები.

ყრილობაზე ახლახან გამოვიდა დეპუტატი ფილატოვი. მე გულთან ახლოს მივიტანე მისი გამოსვლა. მეტადრე ის ნაწილი,რომელიც დამნაშავეობასთან ბრძოლას ეხებოდა. ეს ძალზე მაფიქრებს. მაშ როგორღა მოქმედებენ ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოები, თუ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა თითქოს არათუ არ ძლიერდება, არამედ ნაკლები ინტენსივობითაც კი მიმდინარეობს. მაგრამ ახლა მინდა სულ სხვა ვთქვა. მან, ჩემი აზრით, გამოთქვა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი თვალსაზრისი: დიახ, იქნება სუვერენიტეტი, მივიღებთ კანონებს, მაგრამ თუ ისინი ისევე, როგორც კანონები, სხარტი პოპულისტური წინადადებები უბრალოდ გარიყული აღმოჩნდება.

ყველანი ამოძრავდნენ, ყველას თავისი ინტერესი აქვს. ამას ყველანი უნდა ვხედავდეთ და სწორად ვაფასებდეთ.

მე რომ მკითხონ, ყველაზე მეტად რისა მეშინია და ყველაზე მეტად რა მინდა, ასე ვუპასუხებდი. ყველაზე მეტად ის მინდა, რომ ჩვენ, საბოლოო ანგარიშით მივაღწიოთ წარმატებას საზოგადოების გარდაქმნაში. ხოლო რისა მეშინია ყველაზე მეტად? ყველაზე მეტად ის მაშინებს, ვაითუ ახლანდელი სირთულეებისა და სიძნელეების პერიოდში, რასაც სპეციალიურად იყენებენ ნაირნაირი პოლიტიკური ჯგუფები, აღარ აერიოს გზა-კვალი საზოგადოებას, განხეთქილება არ მოხდეს გარდამქმნელ, დემოკრატიულ ძალებში. ეს, ამხანაგებო, არ უნდა დავუშვათ. ეს იქნება ჩვენი საერთო მარცხი.

ამიტომ მე კონსოლიდაციის მომხრე ვარ. ყველანი უნდა განვთავისუფლდეთ უკიდურესობების, ფობიციებისაგან, დავირაზმოთ მთავარი მიზნების გარშემო, გარდაქმნის პროცესების მთავარი მიმართულებით, ჩვენ გადამწყვეტი ეტაპი დგგვიდგა, მაშ, მოდით, ყველამ ერთად ვიმოქმედოთ, თორემ ზოგ-ზოგებს ერთი სული აქვთ, ხან მიკროსკოპით, ხან კი ტელესკოპით უსათუოდ გამოჩნდიკონ ჩავარდნა. ერთი სიტყვით, ჩვენ ყველამ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მტკიცედ დავაწინაუროთ გარდაქმნის პროცესები.

ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეეჭვებოდა.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია

ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიაზე

პატივცემულო ამხანაგებო!

ალბათ, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე სსრ კავშირის მთავრობას არასოდეს არ გიუკეთებია ესოდენ ძნელი და უალრესად პასუხსაგები მოხსენება ღონისძიებების შესახებ, რომლებიც არსებითად ნამდვილად განსაზღვრავენ, თუ როგორ იცხოვროს მომავალში ხალხმა. სწორედ ეს გარემოება მავალებს მოგმართოთ არა მარტო თქვენ, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრებს, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქესაც. დარწმუნებული ვარ: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და რეგულირებადს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციის შესახებ მთავრობის მოხსენებაში ჩამოყალიბებული მეტად ძნელი ამოცანები და პრობლემები თითოეული საბჭოთა ადამიანის ყურადღების ცენტრში იქნება. არსებითად ხომ ცვლილებები, რომლებიც უნდა განვახორციელოთ, არა მარტო აწლინდელი, არამედ მომავალი თაობების ცხოვრების ყოფასა და ბედს განსაზღვრავს. ამ, პირდაპირ ვიტყვი, გადამწყვეტ ნაბიჯს ქვეყანა თანამიმდევრულად უახლოვდებოდა გარდაქმნის მთელი 5 წლის მანძილზე. ჩვენ მივიწევდით მისკენ უალრესად რადიკალური ცვლილებებისა და სოციალიზმზე ჩვენი ყველა შეხედულების ღრმა, არცთუ უმტკივნეულო ხელახალი გაანრების მეშვეობით, ისეთი ცნებების არსის ხელახალი შეფასების მეშვეობით, როგორიცაა დემოკრატიზაცია, საჯაროობა, საკუთრება, ბაზარი, მეწარმეობა, მეურნეობრიობის სისტემაში ადამიანის როლისა და ადგილის ახალი გაგებისა და ბევრი სხვა რამის მეშვეობით. ვიღებდით გადაწყვეტილებებს, რომლებიც სულ რამდენიმე ხნის წინათ არადამახასიათებელი და უჩვეულო იყო ჩვენი საზოგადოებრივი აზრისათვის.

აქედან, ვფიქრობ, გასაგებია, თუ რა რთული, პასუხსაგები და დაძაბული იყო მუშაობა, რომელიც მთავრობამ გასწია უკანასკნელ თვეებში. მისი საბოლოო შედეგი ამახა მოხსენებაში, რომელსაც დღეს ვიხილავთ. იგი მომზადებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის დადგენილებათა შესასრულებლად, რომლებმაც მზარი დაუშვეს მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების პროგრამას.

შეგახსენებთ, რომ ყრილობამ უყოყმანოდ აღნიშნა: უნდა დაჩქარდეს რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, ბაზრის ფორმირების მთელი პროცესი, სსრ კავშირის მთავრობას დაეგალა ღრმად შეესწავლა და მაქსიმალურად გათვალისწინებინა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა წინადადებები და შენიშვნები.

ეს მუშაობა ყრილობის დამთავრებისთანავე დაიწყო. მისი მთავარი მიზანი იყო შეეწყო ყრილობის მიერ მოწონებული მთავრობის პროგრამა კონკრეტული შინაარსით, რომელიც გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებულ პრობლემათა მთელი კომპლექსიდან. სწორედ მას ეკუთვნის ცენტრალური ადგილი პროგრამაში. ეს გასაგებიცაა.

პირველი, ბაზარი განსაირობებს დამკვიდრებული მეურნეობრიობის სისტემის ძირეულ გარდაქმნას, უალრესად პრინციპულ ცვლილებებს წარმოებით ურთიერთობაში და, საბოლოო ანგარიშით, მთელი ჩვენი ეკონომიკის თვისებრივად ახალი სახის ფორმირებას. დადგა მომენტი, როცა უნდა გადავდგათ გადამწყვეტი ნაბიჯი, რადგან მეურნეობის ძველმა სისტემამ დაკარგა სიცოცხლისუნარიანობა, ახალი დაუყოვნებლივ უნდა შეგქმნათ.

მეორე, ეკონომიკური ცხოვრების ესოდენ კარდინალურ და ასეთი მასშტაბით გარდქმნას არა აქვს პირდაპირი ანალოგები არც ჩვენს, არც საზღვარგარეთის პრაქტიკაში. კონკრეტული პირობები შესაძლებლობას არ გვაძლევს უეცვლელად გადმოვიტანოთ ჩვენს საზოგადოებრივ სისტემაში ვისმე გამოცდილება. თუმცა მთლიანად საზღვარგარეთ დაგროვილი გამოცდილებიდან ყველაფერი სასარგებლო და მისაღები. უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ საქმის სრული წარმატებისთვის გვჭირდება ბევრად არატრადიციული, ზოგჯერ კი სრულიად ახალი გადაწყვეტანი.

მესამე, პრობლემათა სირთულე, რომლებსაც გარდუვალად წავაწყდებით უკვე უახლოეს ხანს, სავსებით ბუნებრივად იწვევს სრულიად ზნეობრივად იწვევს სრულიად ზნეობრივ, ზოგჯერ ეროვნულ, ზოგჯერ კი სრულიად ახალი გადაწყვეტანი.

ეს ნიშნავს, ამ ამოცანებზე ფიქრობენ ადამიანები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება

(გაგრძელება)

სპუბლიკების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში გაისადან მთლიანად შევა შრომითი და ბუნებრივი რესურსების საფასური. მთლიანად ეს შეადგენს დაახლოებით 29 მილიარდ მანეთს.

სახელმწიფო შემოსავლის ასეთი გადანაწილება არა მარტო შეესაბამება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის განვითარებას, ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოებას, არამედ შესაძლებლობას იძლევა ზუსტად განისაზღვროს პასუხისმგებლობა სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის.

ახლა რესპუბლიკური ბიუჯეტების ხარჯზე უნდა განხორციელდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის საქვეუწყებო დარგების დაფინანსება და სოციალურ-კულტურული სფეროს, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების, აგრეთვე მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა სფეროების შენახვისა და განვითარებისათვის საჭირო პრაქტიკულად ყველა დანახარჯის დაფინანსება.

რა თქმა უნდა, ეკონომიკის მართვისათვის რესპუბლიკებისა და რეგიონების პასუხისმგებლობის ზრდასთან ერთად საკავშირო ბიუჯეტის როლი არ უნდა ამოწურებოდეს მხოლოდ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-სამმართველო ფუნქციების დაფინანსებით. ჩვენს რესპუბლიკების ფედერაციას აერთიანებს ქვეყნის მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის, როგორც ერთიანი მთელის, განვითარების ამოცანა. ამის გარშემო ყველაფერი მაგარ კვანძად იკვრება: ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, რეგიონალური სპეციალიზაცია, საბაზრო დარგებისა და ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება, თავდაცვის ინტერესები. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე საერთო ბაზრის ფორმირება განამტკიცებს რესპუბლიკების ეკონომიკურ კავშირურთიერთობას, ობიექტურად გამოიწვევს მთელი ჩვენი ძალების, შესაძლებლობებისა და მისწრაფებების კონსოლიდაციას. სხვა რომ არაფერი იყოს, მარტო ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად გვჭირდება ბაზარი და საბაზრო ურთიერთობა.

ახლა მოკლედ შევეხები ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაციის პრინციპებს. როგორც გახსოვთ, მთავრობის პროგრამა ითვალისწინებს 1993 წლისათვის ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, 2,5-3 პროცენტით მთლიან ეროვნულ პროდუქტთან შედარებით. ეს ამოცანა ერთ-ერთი მთავარია მთავრობის საქმიანობაში. მაგრამ სასურველი შედეგის მიღწევა მთლიანად არ ხერხდება. განსაკუთრებით ახლა, როცა ბიუჯეტის თითქმის ორ მესამედს შეადგენს სოციალური ხასიათის ხარჯები. რა თქმა უნდა, უფლება არა გვაქვს დავუშვათ ეს-ეს არის მიღებული სოციალური პროგრამების განხორციელების ვადების შემცირება ან გაჭიანურება. მაგრამ სამომავლოდ, რაც უნდა ძნელი იყოს ამის აღიარება, უარი უნდა ვთქვათ იმ ხარჯების შემდგომ ფორმირებულ მატებაზე, რომლებიც უზრუველყოფილი არ არის რეალური საშემოსავლო წყაროებით.

ბაზრის ჩამოყალიბებისას ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ საგადასახადო სისტემაზე. მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ შეასრულებს დასკვრებულ როლს, თუ გვექნება საფინანსო კონტროლის ძლიერი სისტემა. მართალი გითხრათ, დღემდე ჩვენს საშეურნეო სისტემას დიდად არც სჭირდებოდა ასეთი სამსახური. დღეს კი მას საარსებო მნიშვნელობა ენიჭება. საგადასახადო ინსპექცია ჯერ მხოლოდ ყალიბდება, და ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რაც შეიძლება მალე დავასრულოთ ეს პროცესი.

კიდევ უფრო საჭიროა ძირფესვიანად გარდავქმნათ ჩვენი საკრედიტო სისტემა. უამისოდ, როგორც ძსოფლიო არაკტიკა გვასწავლის, ბაზარი წართოუდგებელია.

სსრ კავშირის სახბანკისა და საბანკო საქმიანობის კახონპროექტები ითვალისწინებენ შეიქმნას ორი დონის საბანკო სისტემა. ძათგან ზედა დონეს წარმოადგენს სსრ კავშირის სახბანკი. იგი არეგულირებს ფულის ძასის მოცულობას ფულის ერთობლივ, როგორც უხაღდო, ისე ნაღდ ბრუნვაში. რეგულირების მექანიზმი ცნობილია. ეს არის სხვა ბანკების საკრედიტო რესურსების რეზერვირება და კომერციული ბანკების ძერ გაძოყოფილი საკრედიტო რესურსებისათვის პროცენტული დისკონტის გახაკვეთის დადგენა. ბუნებრივია, რომ მისი პირობები მთელი საბანკო სისტემის პროცენტული გახაკვეთების დონის ფორძირების საფუძველი და საკრედიტო დაბახდებათა ოდენობის რეგულატორი გახდება.

თავის ძხრივ, მეორე დონის ბანკები, კერძოდ, სპეციალიზებული ბანკები — სსრ კავშირის ძრეწვშეზბანკი, სსრ კავშირის აგრომრეწვბანკი და სსრ კავშირის ბინსოცბანკი, — თანდათან გადაიქცევიან დიდ საკაციო საბანკო სისტემებად, რომლებიც დარგობრივ, კოოპერაციულ და სხვა ბანკებთან ერთად სამეურნეოანგარიშებრივ, კომერციულ საფუძველზე იძოქმედებენ. მათი ამოცანაა დააკრედიტონ საწარმოები მობილიზებული რესურსების საგრგლებში. თავიანთი საკრედიტო საქმიანობის განხორციელებაში ისინი სრულიად დამოუკიდებელნი არიან.

საბაზრო ურთიერთობაზე უშუალო გადასვლის მომენტში უპირველესი ღონისძიება იქნება სესხთა განაკვეთების გადასინჯვა. დღეს კრედიტების მიცემა, არსებითად, უფასოდ ხდება: მოკლევადიანი სესხის განაკვეთი საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 2,5 პროცენტს, ხოლო გრძელვადიანისა — ერთ პროცენტზე ნაკლებს. რაღა გასაკვირია ამის შემდეგ ფულის მასის სიჭარბე სამეურნეო ბრუნვაში და მანეთის გაუფასურება?

1991 წლიდან დასაბუნია დადგინდეს სესხის ახალი პროცენტული განაკვეთები. ისინი სავალდებულოა ყველა სესხის ამღებისათვის, ხოლო გადასახდეინებელი პროცენტი დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ სარგებლობის ხანგრძლივობაზე. მაგალითად, 1 წლამდე ვადით კრედიტის თავნისათვის სარგებელი შეადგენს 6 პროცენტს, 1-დან 3 წლამდე — 8 პროცენტს. 3-დან 5 წლამდე — 9 პროცენტს, 5 წელიწადზე მეტ ხანს — 11 პროცენტს, ხოლო ვადაგადაცილებული სესხისათვის დგინდება სულ ცოტა 15 პროცენტი წლიური სარგებელი. შემდეგ ეს განაკვეთები შეიძლება შეიცვალოს რეალური მოთხოვნისა და მიწოდების, ინფლაციის დონისა და სხვა ეკონომიკური ფაქტორის შესაბამისად, ანუ ბაზრის ყველა კანონის მიხედვით.

ახალ პირობებში საკრედიტო ურთიერთობის კომერციული ხასიათი შეუძლებელს ხდის ჩვენი ტრადიციული შეღავათიანი კრედიტების გამოყენებას. პროცენტების მიხედვით შედავათის ანაზღაურების საკითხი, თუ ამის საჭიროება შეიქმნა, უნდა გადაწყვიტოს ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებიც იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

სესხის მიხედვით პროცენტული განაკვეთის მომატებას თან სდევს საწარმოებისა და მოსახლეობის დეპოზიტური ანგარიშების მიხედვით გადასახდელის იმავდროული მატება. ეს საჭიროა არა მარტო თავის კლიენტურასთან ბანკის ეკვივალენტური ურთიერთობის შესაქმნელად, არამედ ბაზრებზე წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესასუსტებლადაც და ინფლაციისაგან დანაზოგთა დაცვის უზრუველყოფისა საყოფაოდაც. საწყის პერიოდში სახსრების დაცვის ვადების კვალობაზე ასეთი ანგარიშების მიხედვით ნავარაუდევია დაწესდეს გადასახადელი წელიწადში 4-დან 9 პროცენტამდე საოგებლის ოდენობით.

საბაზრო ეკონომიკის ორგანული შემადგენელი ნაწილია საფინანსო ბაზარი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, შეიცავს კრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრებს.

რაც შეეხება კრედიტების ბაზარს, იგი უნდა ჩამოყალიბდეს საბანკო სისტემის დასახული გარდაქმნის შედეგად. ეს, უწინარეს ყოვლისა, კომერციული ბანკების განტოტვილი ქსელის შექმნა, მოსახლეობა სესხრებსა და გასაცემ სესხზე პროცენტის განაკვეთების განსაზღვრაზე გადასვლაა მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე. აქ სურათი მეტ-ნაკლებად ნათელია.

ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის უჩვეულო ფასიანი ქაღალდების ბაზრის კატეგორია, არადა, უკვე ახლა გადავდგავართ სახელმწიფო ვალის გაფორმებაზე ობლიგაციებისა და ხაზინის ვალდებულებების გამოშვების მეშვეობით. ძალას იკრებს საკაციო საზოგადოებათა ფორმირების პროცესი. მათი აქციები ასევე გარკვეული პერიოდის შემდეგ თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ობიექტი გახდება. საწარმოები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, მოკავშირე რესპუბლიკები შეძლებენ მიიზიდონ სახსრები, რომლებიც აკლიათ, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით, ისე, რომ რესურსებისათვის არ მიმართონ არც ბიუჯეტს და არც ბაზრებს. ამის შედეგად სხვა საწარმოებისა და მოსახლეობის სახსრები გადმოვა სასაქონლო ბაზრებიდან, რაც შეამცირებს გადახდისუნარიან მოთხოვნას და გააადვილებს მათი შეწონასწორების მიღებას. ასე რომ, საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბებასაც ვერ გადავდებთ დიდი ხნით.

საწარმოთა სამეურნეო ანგარიშსა და ახალი ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებას უკვე მოჰყვა ინვესტიციების დაფინანსების წყაროების მნიშვნელოვანი გადანაწილება. ახლა კაპიტალური დაბანდების მოლოდ დაახლოებით 15 პროცენტი ხორციელდება საკავშირო ბიუჯეტისა და ამდენივე — რესპუბლიკური ბიუჯეტების ხარჯზე. საწარმოს საგდასახადო სისტემის შემოღების შემდეგ ცენტრალიზებულ ფონდებში გადარიცხვებს შეწყვეტენ სამინისტროები. მაშასადამე, ჩვენ თავიდან ავიცილებთ ინვესტიციების კიდევ ერთ წყაროს, რომელიც პრაქტიკაში ხშირად იწვევს სახსრების განიავებას.

ამავე დროს ცენტრალიზებულ ინვესტიციებზე მოთხოვნილება ჯერჯერობით ფრიად არსებითია. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება ეკონომიკის სარესურსო უზრუველყოფას. თავად განსაჯეთ: სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ხარჯები დღეჩიადაგ იზრდება, და საეჭვოა სამართლიანი იყოს ამ ზრდის დაკისრება საწარმოებისა თუ ტერიტორიებისათვის, რადგან ისინი მთელი ფედერაციისთვის მუშაობენ. ანდა, ავიღოთ სხვა მაგალითი. საყოველთაოდ აღიარებულია ისეთი დიდი საერთო-სახელმწიფო ეკონომიური და ეკონომიკურ-სოციალური პროგრამების მნიშვნელობა, როგორიცაა, ვთქვათ, „ჩერნობილი", „არალი" და სხვანი. უახლოეს ხანს ამგვარი პროგრამების რეალიზაციას, წინასწარ გამოანგარიშებით, დასჭირდება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა სულ ცოტა მეოთხედი — ეს თითქმის 10 პუნქტით მეტია საბიუჯეტო დაფინანსების ახლანდელ დონესთან შედარებით. პობლემის გადაჭრის გზად მიგვაჩნია 1991 წლით დაწყებული ბიუჯეტის გარეშე საკავშირო და რესპუბლიკური საინვესტიციო ფონდების ფორმირება, რომლებშიც გაიგზავნება საწარმოთა ამორტიზაციული ანარიცხების 20 პროცენტი, მათ შორის მხოლოდ იმათი გამოკლებით, რომლებიც განეკუთვნება აგროსამრეწველო კომპლექსს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გთხოვთ მხარი დაუჭიროთ ამ წინადადებას.

ფასწარმოქმნის რეფორმა

ამხანაგებო!

ქვეყანაში ყველა შემდგომი ეკონომიკური ცვლილების უმნიშვნელოვანესი პირობაა ფასწარმოქმნის რეფორმა.

სრულიად აშკარაა, რომ ახლანდელი ფასები არ ასახავს არც წარმოებისათვის ნამდვილ დანახარჯებს, არც მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას, არც მსოფლიო ფასების დონეს — ერთი სიტყვით, არავითარ ეკონომიკურ კატეგორიებს. ასეთი რამ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მბარჯველობის მკაცრად ცენტრალიზებულ, განმანაწილებელ სისტემაში, „ესე იგი სახელმწიფოში, რომელიც თავის ხელში იღებს მთელ წარმოებას, მთელ საწარმოო რესურსებს და ახდენს მათს განაწილებას. ამ შემთხვევაში ფასები ნამდვილად არ ასრულებენ განმსაზღვრელ როლს. ამგვარი ფასების საფუძველზე არც კი შეიძლება ეკონომიკის მდგომარეობის სერიოზული განალიზება. მართლაც რომ, „მრუდე სარკეების" სამეფოა.

სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასულ საწარმოთა მუშაობის გამოცდილება სრულიად დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ სწორედ ფასებისა და ტარიფების მოქმედი სისტემა აბრკოლებს ყველაზე მეტად ეკონომიკური ცვლილებების წინსვლას. საკითხი, როგორც იტყვიან, გადამწყდა.

ფასწარმოქმნის რეფორმის მომზადების პროცესში განიხილებოდა სხვადასხვა, ხშირად პოლარული თვალსაზრისი მისი განხორციელების თაობაზე. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მიდგომების ძირითადი განსხვავებანი კონცენტრირებული იყო ორ ვარიანტში.

პირველი ვარიანტით ნავარაუდევი იყო მეტ წილ სახეობათა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების მიხედვით სახელმწიფო ფიქსირებული ფასებიდან თავისუფალ ფასებზე ერთდროული გადასვლა.

მეორე ვარიანტს საფუძვლად უძევს ფასწარმოქმნის საბაზრო მეთოდების ეტაპობრივი შემოღება ფასების დონისა და დინამიკისადმი სახელმწიფო კონტროლთან შეხამებით.

უეჭველია, ყოველ ამ ვარიანტს აქვს მოქმედების უფლება. პირველი ვარიანტის დროს, რომელსაც დაეკინებით მოითხოვენ ცალკეული მეცნიერები, ეკონომისტები და პუბლიცისტები, ჩვენ შეძლებდით მოკლე ვადებში მოგვეხდინა ბაზრის სტაბილიზება, რადგან ამ დროს ერთბაშად ექმნება ყველაზე ხელშემწყობი პირობები საბაზრო მექანიზმის მეტი წილი ელემენტების ჩართვას, სწრაფად მიიღწევა მოთხოვნისა და მიწოდების შეწონასწორება. ამავე დროს ასეთი ნაბიჯის შედეგი, როგორც უკვე აღინიშნა, შეიძლება იყოს ყველა ფასისა და ტარიფის დიდი მომატება, ინფლაციის შეუკავებელი ზრდა, რაც გამოიწვევს. მოსახლეობის არა მარტო ხელმოკლე, არამედ საშუალოხელფასიანი ფენების ცხოვრების პირობების გაუარესებას. დღეს შეუძლებელია მთლიანად ვიწინასწარმეტყველოთ ამ პროცესის ხანგრძლივობა და მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები.

ამიტომ სსრ კავშირის მთავრობას უფრო მისაღებად მიაჩნია მეორე ვარიანტი. მისი არსი ის არის, რომ 1991 წლის დამდეგს ცენტრალიზებულად განხორციელდეს ფასების მთელი სისტემის ერთდროული კომპლექსური გადასინჯვა. ეს საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად ავიცილოთ თავიდან აქ დაგროვილი გადახრები და დისპროპორციები, შეგქმნათ რეალური პირობები სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოების მიერ სამეურნეოანგარიშიან საქმიანობის წარმოებისათვის, ფინანსური სისტემის გარდაქმნისათვის, ფულადი მიმოქცევის გამმტკიცებისათვის. შემდეგ შეიძლება შევუდგეთ საბაზრო ფასწარმოქმნის თანდათანობით შემოღებას. ამასთან ნავარაუდევია უზრუველყოთ სახელმწიფოს მიერ დაწესებული და რეგულირებული ფასების და მოთხოვნისა და მიწოდების ზემოქმედებით ფორმირებული თავისუფალი ფასების მოქნილი შეხამება. საშუალო ალენიშნავს, რომ ეკონომიკა შეიძლება მოლიანად თავისუფალი იყოს ფასწარმოქმნის პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობისაგან.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფოს კონტროლით ყველა მოქმედი ფასის ერთდროული გადასინჯვა საშუალებას მოგვცემს მკვეთრად შევანელოთ ბაზრის ჩამოყალიბებისათვის დამახასიათებელი ინფლაციის ზრდა.

წარმოდგენილ მოხსენებაში განსახილველია მრეწველობასა და მის დარგებში საბითუმო ფასების შეცვლის ძირითადი პარამეტრები. საშუალოდ ფასების ზრდა აქ დაახლოებით 46 პროცენტს შეადგენს.

ამასთან ყველაზე მეტად გაიზრდება ფასები საობობ-სანედლეულო დარგებში. მაგალითად, საობობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ზრდა მიაღწევს 82 პროცენტს, მეტალურგიულ კომპლექსში —71 პროცენტს და ქიმიურ-სატყეო კომპლექსში — 64 პროცენტს. ეს მრეწველობის ჩვენი მომპოვებელი და დამმუშავებელი დარგების პროდუქციის ფასებს მიუახლოებს მსოფლიო ფასებს, მოსპობს სანედლეულო რესურსების ხელოვნურ სიიაფეს, შექმნის რესურსდაზოგვის სტიმულებს.

მოკავშირე რესპუბლიკების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სპეციალისტების მონაწილეობით შემუშავებულია ახალი შესასყიდი ფასების აგების კონცეფცია. მათში მთლიანად არის გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის მიერ მოხმარებული მატერიალური რესურსების გაძვირება, ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის პროცენტული განაკვეთების გაზრდა და სხვა დამატებითი დანახარჯები. ერთი სიტყვით, ახალი შესასყიდი ფასების დონე უზრუველყოფს მრეწველობასთან სოფლის მეურნეობის ეკვივალენტურ გაცვლას და საკმარისია წარმოების სტიმულირებისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითად სახეობათა შესასყიდი ფასები წარმოების ჩამოყალიბებული დანახარჯებისა და რენტაბელობის დონის გათანაბრების საჭიროების გათვალისწინებით 55 პროცენტამდე იზრდება.

მაგრამ ყველაზე ძნელი პრობლემები წამოიჭრა საცალო ფასების რეფორმის დარგში. სწორედ აქ არის მაგარ კვანძად შეკრული როგორც სახელმწიფოს, ისე თითოეული ოჯახის, თითოეული ცალკე ადამიანის ეკონომიკური ინტერესები.

50-იან წლებში და 60-იანი წლების დამდეგს ჩამოყალიბებული საცალო ფასების სისტემა მეტისმეტად მოძველდა. ფასები სრულიად არ შეესაბამება შეცვლილ ეკონომიკურ პირობებს. ეს საშუალებას არ გვაძლევს ვაწარმოოთ სამართლიანი სოციალური პოლიტიკა. სოციალური პროგრამების განხორციელებისას გამუდმებით ვაწყდებით იმას, რომ ეს ფასები მოწყვეტილია რეალურ ღირებულებას, შრომის დანახარჯებს. აძით ისინი აფერხებენ ხალხისთვის საჭირო საქონლის გაჯეროვების ზრდის, მოთხოვნის დეფორძირებას, დეფიციტსა და სპეკულაციას იწვევენ. ძასობრივი მოთხოვნის საქონლის მცირე საცალო ფასები საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს ქვეყანაში ხელფასის დაბალ დონესაც, არყევს შრომის სტიმულებს.

განსაკუთრებით დეფორმირებულია სურსათის ფასები. ისინი 2-3-ჯერ ნაკლებია რეალურ ღირებულებაზე. სასურსათო პროდუქტების წარმოება ზარალიანია, დღეს ეს ერთ-ერთი მთავარი მუხრუჭია, რომელიც აფერხებს სასურსათო რესურსების ზრდას. თუ უკანასკნელი 35 წლის მანძილზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი 6,5-ჯერ გაიზარდა, ფასების სახელმწიფო დოტაციებმა 30-ჯერ და მეტად მოიმატა. ახლა მარტო სასურსათო საქონლის დოტაცია შეადგენს დაახლოებით 100 მილიარდ მანეთს, ხოლო ახალი შესასყიდი ფასების შემოღების შემდეგ საცალო ფასების გადაუსინჯავად იგი კიდევ თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი გასავლის მეხუთედს შეადგენს.

ჩვენ დაგვიდგა ისეთი მდგომარეობა, როცა დოტაცია გამოიყოფა ყველა უმნიშვნელოვანეს სასურსათო პროდუქტზე. მაგალითად, კილოგრამი ძროხის სახელმწიფოს უჯდება 5 მანეთი და 88 კაპიკი, ხოლო საშუალო საცალო ფასი სახელმწიფო ვაჭრობაში მხეთსა და 81 კაპიკს შეადგენს. და ასეა მეტ წილ პროდუქტებთან დაკავშირებით. შემდგომში დოტაციების დაფარვისათვის მოგვიხდება გამოვყოთ სულ უფრო მეტი და მეტი სახსრები. წარმოიშვა დახშული წრე: რაც უფრო მეტ სურსათს ვაწარმოებთ, მით უფრო შეზღუდული იქნება ჩვენი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობანი.

თუ გულახდილად ვიტყვით, საცალო ფასების რეფორმა დავაგვიანეთ. შემდგომი დაყოვნება მხოლოდ გაზრდის სიძნელეებს.

სასურსათო პროდუქტების ფასების ახალი სისტემის აგებისათვის მოქმედი სისტემისაგან განსხვავებით, რომლის საფუძველს შეადგენს პურის ფასები, საბაზო ფასებად აღებულია ხორცის ფასი. ასეთი მიდგომა განაპირობა სასურსათო პროდუქტების მოხმარების მკაფიოდ გამოხატულმა ტენდენციამ, რომელიც ორიენტირებულია უპირატესად ცილა-ბოსტნეულის სტრუქტურაზე.

გარკვევა ნიშნავს გვიჩვენებს, რომ სურსათის საცალო ფასები უნდა გავზარდოთ საშუალოდ დაახლოებით 2-ჯერ, მათ შორის ხორცის პროდუქტებისა — 2,3, თევზისა — 2,5, რძისა — 2, პურპროდუქტებისა 3, შაქრისა — 1,8, მცენარეული ზეთისა — 1,7-ჯერ.

ამასთან ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საცალო ფასების ახალი დონეების შემოღებისას, ჩვენ არ ვესწრაფოდით უარი გვთქვა დოტაციაზე. მაგალითად, ხორცრძის პროდუქციის დოტაციები თითქმის 45 მილიარდ მანეთს შეადგენს, მთლიანად უარი რომ გვთქვა მათზე, მოგვიხდებოდა გაგვზარდა, ვთქვათ, კილოგრამი ძროხის ხორცის ფასი 9 მანეთამდე, დასახული 5 მანეთისა და 50 კაპიკის ნაცვლად. ეს მიუღებლად მიგვაჩნია.

შეიძლება დაიბადოს კითხვა: ხომ არ შეიძლება შევამციროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანახარჯები და შესაბამისად შესასყიდი ფასები, და შევინარჩუნოთ ამჟამად მოქმედი საცალო ფასები? რა თქმა უნდა, ეს საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, მაგრამ რეალისტები უნდა ვიყოთ.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება ჯერ კიდევ მცირეა, მაშასადამე, წარმოების დანახარჯები დიდია. რა თქმა უნდა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი განპირობებულია უყაირათობით, მფლანგველობით, დიდი დანაკარგებით და სხვა ნეგატიური მოვლენებით თვით სოფლის მეურნეობაში. მაგრამ არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ მრავალი პროდუქტის სიძვირე სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სხვა რგოლების ცუდი მუშაობის შედეგია. სოფლის მეურნეობის ძუშაკები ხომ არ აპროექტებენ და არ ამზადებენ ძვირად ღირებულ, მაგრამ ხშირად ნაკლებეფექტიან და ძდარეხარისხიან ტექნიკას, ნედლეულის გადასამუშავებლად საჭირო მოწყობილობას, არ აშენებენ გაუმართლებლად ძვირ მეცხოველეობის კომპლექსებს, საცავებს და ა. შ. არადა, ხომ ყოველივე ეს განაპირობებს საბოლოო ანგარიშით ხარჯების ოდენობას, დანაკარგებს, პროდუქციის დიდ თვითღირებულებას.

ამიტომ სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის სწრაფი ზრდის და სურსათის წარმოების ზარალიანობის ლიკვიდაციის ძოლოდინი ნიშნავს ანგარიში არ გაეწიოთ სკმის ფაქტობრივ მდგომარეობას და სასურველი სინამდვილედ გავასაღოთ.

სასურსათო პროდუქტებთან ერთად გათვალისწინებულია აგრეთვე ცალკეულ სახეობათა არასასურსათო საქონლის საცალო ფასების ძომატება. ამასთან ქოვილებისა და სხვა ნაწარმის ფასები გაიზრდება 30-50 პროცენტით, ფეხსაცმლისა — 35, ბეწვეულის ნაწარმისა — 20, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ცალკეულ სახეობათა საქონლისა — 30, საშენი მასალებისა — 50 პროცენტით.

გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების (ბინის ქირის გარდა) ტარიფების გაზრდა — 70 პროცენტით, საავიაციო და რკინიგზის ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა — 50 პროცენტით.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენ იცით, რომ მთავრობამ მიიღო 1990 წლის მოსავლის მარაგცვლელის შესასყიდი ფასების შემატების გადაწყვეტილება. ჩვენ ეს ნაბიჯი გადავდგით, რათა რაც შეიძლება სწრაფად შევუქმნათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმოების ზრდის დამატებითი სტიმულები. ქვეყანას უკვე აღარ შეუძლია ჩამოყალიბებული მასშტაბით შეინარჩუნოს მარაგცვლელის შესყიდვა საზღვარგარეთ.

ახალი შესასყიდი ფასების შემოღებასთან დაკავშირებით ამ მიზნებისათვის სახელმწიფოს ხარჯები 9 მილიარდი მანეთით. შესაბამისად გაიზრდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამონაგები, სოდანაც დაახლოებით 5 მილიარდი მანეთი შრომის ანაზღაურებას მოხმარდება.

გავზარდეთ რა მარაგცვლელის შესასყიდი ფასები, ჯერჯერობით ხელი არ გვიხლია პურფუნთუშეულის ფასებისათვის. მაგრამ აქ უნდა მოვითათბიროთ. რამდენ შრომას აქსოვს და რამდენ ფულს ღვრის კაცი, სანამ პური ჩვენს სუფრაზე დაიდებოდეს, ჩვენ კი მას ბარბაროსულად ვეძეკვით. ეიყოთ გულადლენი — იმიტომ ხომ არა, რომ იგი ასე იაფი და ხელმისაწვდომია?

ამ პირობებში მთავრობა გვთავაზობს მოვთაბლოვოთ პურისა და პურპროდუქტების რეფორმით გათვალისწინებული ახალი საცალო ფასების შემოღების ვადა. ეს შეიძლებოდა გაგვეკეთებინა მიმდინარე წლის 1 იულისთვის. ამასთან მოსახლეობის დამატებითი ხარჯები შეადგენს 17,5 მილიარდ მანეთს, რომელიც მთლიანად კომპენსირებული იქნება.

ამ ღონისძიების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, ის არის, რომ სულ ცოტა 5 მილიონი ტონა პური დაიზოგება. მაგრ.ამ უნდა გავითვალისწინოთ სხვა რამეც — მისი ნაწილი ამჟამად ხმარდება პირუტყვის კვებას. ამასთან დაკავშირებით ცენტრშიც და რესპუბლიკებშიც უნდა განვაორგანიზოთ ღონისძიებანი მოსახლეობისათვის კონცენტრირებული საკვების მიყიდვის გასაზრდელად.

მთავრობა სთხოვს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს მხარი დაუჭიროს წინადადებას მიმდინარე წლის 1 იულისიდან პურისა და პურპროდუქტების ახალი საცალო ფასების შემოღების შესახებ.

როგორც ვთქვი, ფასების მთელი სისტემის ერთდროული გადასინჯვა ფასწარმოქმნის რეფორმის პირველი ეტაპია. მთავრობის აზრით, შემდგომში, რეგულირებად ბაზარზე გადასვლისას, ფასების სისტემა სახალხო მეურნეობაში შეიცავს სამ ძირითად სახეობას.

ეს არის სახელმწიფო ორგანოების მიერ მტკიცედ ფიქსირებული ფასების დაწესება, რომლებიც საკაელდებულია ყველა მიმწოდებლისათვის;

ეს არის რეგულირებადი ფასები, რომელთა საფუძვლად მიღებულია პრეისკურანტები, ხოლო საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოები აწესებენ მათგან გადახრის ფარგლებს. ამ ფარგლებში კონკრეტულ ფასს განსაზღვრავენ მიმწოდებლები და მოხმარებლები დამოუკიდებლად. შესაძლებელია ფასების მოქნილი რეგულირების სხვა მეთოდებიც.

და ბოლოს, — ეს არის თავისუფალი ფასები, რომლებიც უალიმდება მოთხოვნისა და მიწოდების ზემოქმედებით.

ეკონომიკური სიტუაციისა და სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით ზოგიერთ სახეობათა პროდუქციის ფასწარმოქმნის ამა თუ იმ წესის გამოყენების დაადგენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობები.

გვესახება, რომ უახლოეს პერსპექტივაში სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს უმნიშვნელოვანესი სანედლეულო და სათობობენერგეტიკული რესურსების, მონოპოლისტი საწარმოების პროდუქციის საცალო ფასები, ნატურალური გადასახადის ანგარიშით მიწოდებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების დამტკიცება.

მოსახლეობის სოციალური დაცულობის უზრუველსაყოფად სახელმწიფო აგრეთვე დაფუძნებს ან მოაწესრიგებს სახალხო მოხმარების ისეთი უმნიშვნელოვანესი საქონლის საცალო ფასებს, როგორიც არის პური და პურ-ფუნთუშეული, ხორცი და ხორცეული, მცენარეული ზეთი, რძე და მისი პროდუქტები, შაქარი, თევზი, ყოველდღიური მოთხოვნილების მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი საქონელი, მედიკამენტები, ავადმყოფის მოვლის საგნები და ზოგიერთი სხვა; სახელმწიფო კონტროლის ზონაში შენარჩუნებულია საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის ელექტროენერგიისა და სათობობის ფასები. გათბობის, წყალმომარაგებისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფები.

საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და ბაზრის შევსების კვალობაზე სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებული ფასების წილი თანდათანობით შემცირდება, ხოლო თავისუფალი ფასწარმოქმნა გაფართოვდება. მოქნილად გამოიყენებს რა ფასების ასეთ სისტემას, სახელმწიფო შეძლებს ზემოქმედება მოახდინოს საქონლის ბაზარზე ფასწარმოქმნის პროცესებზე, არ დაუშვას კონტროლდაუქვემდებარებელი ინფლაცია. გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ 1991 წელს საქონლის ნეგდრითი წილი საცალო საქონლბრუნვაში შეადგენს: სპარეისკურანტო ფასებით — 55 პროცენტს, რეგულირებადი ფასებით — 30 და თავისუფალი ფასებით — 10-15 პროცენტს.

ხაზს ვუსვამ, რომ საცალო ფასების დარგში ყველა ჩამოთვლილი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ადამიანთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ერთდროული შემოღების პირობებით. ჩვენ მოვალენი ვართ მაქსიმალურად შესაძლო ხარისხით შევინარჩუნოთ ცხოვრების მიღწეული დონე და გასსაკუთრებით ვიზრუნოთ მოსახლეობის ხელმოკლე ფენებისათვის.

(დასასრული ხვედრეგ ნომერში).

ჩვენი საუნჯე

შთაგონება — „ვეფხისტყაოსანი"

ჩემი ოცნება იყო „ვეფხისტყაოსნისათვის" შემექმნა ისეთი მუსიკა, რომელიც რუსთაველის პოემის სულის, მისი პოეტურობის და, რაც მთავარია, რუსთაველის პოემის ღირსებას, ზოგადობას, მასშტაბურობას, კოსმოსურობას უფრო გადმოსცემდა, ვიდრე პოემის შინაარსის დეტალური დინჯობა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" - მე წარმომიდგენია, როგორც ერთმანეთთან განუყრელად შერწყმული ძღერა ცამდე მაღლისა და მიწიერისა, და ვფიქრობ, რომ ესოდენ დიდი, კოსმოსური ძალით

ეროვნული ყრილობა:

ზნეობრივი ერთიანობა

საქართველოს ეროვნული ყრილობის მუშაობის მეორე დღეს დელეგატებმა განიხილეს ქამათი ეროვნული კონგრესის, როგორც საქართველოში მცხოვრები ხალხების ნების გამომხატველი ხელმძღვანელი ორგანოს, უფუნქციებსა და მმოქანებზე, მის სტატუსზე, არჩევნების მოწყობის წესზე, კამათში მონაწილეობდნენ აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი, პროფესორები სოლომონ ხუციშვილი და ჯუმბერ ბუმბერიძე, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი სანდრო ბრეგვაძე, საქართველოს აღდგინების პარტიის წარმომადგენელი გიორგი ცხვედაძე, მსახიობები გიორგი ხარაბაძე და ზურაბ ქაფიანიძე, ეროვნულ-სოციალისტური პარტიის წევრი კახა ვასაძე, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე, „ლემის“ სადროშოს წარმომადგენელი აკაკი გასვიანი, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ვიქტორ ხომერიკი.

შემდეგ ყრილობამ მუშაობა გაგრძელა დღის წესრიგის მიხედვით. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ირაკლი წერეთელმა დამსწრეთა გაცნო საქართველოს ეროვნული კონგრესის შესახებ საქართველოს ეროვნული ყრილობის რეზოლუციის პროექტი.

ამ დოკუმენტის ზოგიერთი მუხლის გარშემო ცხარე კამათი გაიმართა, კერძოდ, დელეგატებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს კონგრესის გამართვის დროსა და მის უფლება-მოვალეობებზე, გარკვეული შესწორებების, შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების შემდეგ ყრილობის მონაწილეებმა კენჭი უყარეს რეზოლუციის პროექტს და მიიღეს იგი...

შესვენების დროს შეეხვედით და ვესაუბრეთ აფხაზეთის სახალხო ფრონტის „აიდგილარძს“ თავმჯდომარის მოადგილეს ზურაბ აჩბას, რომელმაც თქვა:

— საქართველოს ეროვნული კონგრესი უკვე რეალური პოლიტიკური ძალაა და დადებითი მოვლენაა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მისი არსებობა ასევე მნიშვნელოვანია აფხაზი ხალხისთვისაც, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ საშუალება გვექნება კონსტრუქციული დიალოგი წარვმართოთ ორი რამდენიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ცალ-ცალკე, არამედ ერთ, მთლიან, წარმომადგენლობით ორგანოსთან, ამდენად, მიგესალმებით საქართველოში ეროვნული კონგრესის არჩევას. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ გზით შეეძლებთ საერთო პრობლემების გადაჭრას. თბილისში ყოფნისას შევხვდი სხვადასხვა პარტიის ლიდერებს, ორივე მხრიდან თავიდანვე გამოიკვეთა თანამშრომლობის სურვილი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

ამ საკითხზე ილაპარაკა აფხაზეთის სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ აჩბამ.

— ჩვენი აზრით, ეს აშკარა პროვოკაციაა, თქვა მან. და ეს მაშინ, როცა ხდება ჩვენი დაახლოება, ურთიერთგაგების ძაფების გაბმა. ფაქტის შეტყობინებისთანავე დავუკავშირდით სოხუმს, თხოვნით მივმართეთ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, გამოიძინონ და საზოგადოებრიობას აუწყონ სრული სიმართლე...

დელეგატებმა მოისმინეს სამანდატო, სარეგისტრაციო და ხმის დამთვლელი კომისიის ინფორმაციები:

საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე მოწვეული იყო 6829 დელეგატი, მანდატები გაუნაწილდათ 63 რაიონსა და 82 პოლიტიკურ ორგანიზაციას, აქედან საქართველოს საბალხო ფრონტმა უკან დაიბრუნა 50 მანდატი. პირველ დღეს ყრილობას 6020 დელეგატი დაესწრო, ბოლო დღის მონაცემებით კი სპორტის სასახლის დარბაზში 5981 დელეგატი იყო.

შესვენებამდე ყრილობის მონაწილეებმა დამტკიცეს ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოში არსებული ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის, საზოგადოების, ასოციაციის, შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლები; პრეზიდიუმისა და დელეგატთა სურვილით ცენტრის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილი პიროვნებები: აკაკი ბაქრაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ვახტანგ გოგუაძე და სხვები.

აქვე ითქვა, რომ 29 მაისს საკოორდინაციო ცენტრი უკვე შეუდგება მუშაობას.

შესვენების შემდეგ გაიმართა კანონის პროექტის განხილვა. ორატორებმა მრავალი შენიშვნა, მოსაზრება, კონკრეტული წინადადება წამოაყენეს. ძირითადად მსჯელობა მიმდინარეობდა საარჩევნო უფლებებზე, საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრობის კანდიდატთა სიებზე, მაჟორიტარული წარდგენისა და რეგისტრაციის წესზე, კენჭისყრაზე, აგრეთვე კონგრესის, როგორც ხელისუფლების ორგანოს, იურიდიულ სტატუსზე.

შეთანხმდნენ, რომ არჩევნები სრულიად შეუზღუდავად გაიმართოს; ყველას, ვინც ეროვნული კონგრესის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, უფლება აქვს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებშიც იყაროს კენჭი.

კამათისას დაისვა მრავალი შეკითხვაც, კერძოდ, დელეგატებს აინტერესებდათ, ვინ დააფინანსებს ეროვნული კონგრესის არჩევნებს და რა გასამრჯელოს მიიღებენ აქ არჩეული დეპუტატები.

ამ კითხვას უპასუხა ირაკლი წერეთელმა, რომელმაც თქვა, საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებს დაფინანსებს ყველა ძირითადი პოლიტიკური ორგანიზაცია, ხოლო მის დეპუტატებს არავითარი ხელფასი არ ექნებათო.

შემდეგ გაიმართა კენჭისყრა. ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დელეგატებმა მიიღეს კანონი საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების შესახებ, ხოლო არჩევნების დღედ გამოცხადდა 30 სექტემბერი.

ამით საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ შუშაობა დამთავრა.

და ბოლოს: ყრილობის შემდეგ, პრეზიდიუმთანაც, დარბაზშიც და ფოიეშიც კვლავ გრძელდებოდა საუბრები, კამათი, მსჯელობა...

შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ კინორეჟისორ ელდარ შენგელაიას:

— ეს ძალზე კონსტრუქციული, საქმიანი ფორუმი იყო. იგი აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია, ვგრძნობ პოლიტიკური პარტიების ლიდერთა თავისუფალი, დემოკრატიული მიდგომა ნებისმიერი საკითხის გადაჭრისა და უშუალოდ დარბაზთან დამოკიდებულებაში. გონივრული იყო აგრეთვე საქართველოს „ცხელი წერტილების“ წარმომადგენელთა ყრილობაზე მოწვევა და მათთან დიალოგის გამართვა, რაც შეეხება ეროვნულ კონგრესს, იგი დროული და მნიშვნელოვანი, იმასთანავე გარდამავალი ეტაპია საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც. კერძოდ, კონგრესი მხოლოდ მაშინაა იურიდიულად უფლებამოსილი, თუ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტმა აირჩია, თუ არა... რა უნდა ვქნათ მაშინ? მე მგონია, ამ შემთხვევაში სხვა გზაც უნდა გამოვიყენოთ, ამ გზად კი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო მიმაჩნია...

სოსო ბალაშვილი.



ფეიეზარიანში და რიყეზე

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სადღესასწაულო დღეებში თბილისის შემოგარენში აღმართა ძეგლი იმ მეომრების ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს დაიღუპნენ 1921 წლის თებერვალში. მისი ავტორია არქიტექტორი ალვი ჯაფარიძე. სურათზე ხედავთ ძეგლის გახსნის ცერემონიალს.

თბილისში, რიყეზე, საქართველოს მერად კოსტავას სახელობის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ფოტოგალერეის შენობაში გაიხსნა ფოტოგამოფენა, რომელიც ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს. გამოფენის ინიციატორებმა — საქართველოს ეროვნულ-ლიტერატურულ კავშირმა, რესპუბლიკის ფოტოეროვნულ-ლიტერატურულ და კინოდოკუმენტალისტთა ასოციაციამ შეკრიბეს უნიკალური ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის ბრძოლას განთავისუფლებისათვის, გვიამბობენ ჩვენს დღეებში ფართოდ გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. სურათზე აღბეჭდილი არიან გამოფენის სტუმრები ექსპონატების დათვალიერებისას.

დღე რწმენის და იმედისა

დილიდანვე აგუგუნდა ქალაქი...

სამფეროვანი დროშებით დაიბურა სახლის აივნები...

ხალხით აივსო თბილისის ქუჩები...

რა ხანია ასე ერთიანად გაღიმებულ-გაცისკროვნებული აღარ ავიე უბანავს რუსთაველის გამზირი.

დილით, თბილისის მთავრობის სახლთან ეროვნულ-გამთავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრში გაერთიანებულმა წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა, საზოგადოებებმა ჩაატარეს 26 მაისისადმი მიძღვნილი მიტინგი.

სიტყვით გამოსულებმა აქ მოსულ საზოგადოებას მიულოცეს დამოუკიდებლობის დღე, გაიხსენეს ის პერიოდი, როცა თავისუფლებამ შემოაბიჯა საქართველოში, პატივი მიაგეს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს მერად კოსტავას, რომელსაც ამ დღეს 51 წელი შეუსრულდებოდა. მათვე ისაუბრეს საქართველოში ამჟამად არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, ხაზი გაუსვეს ეროვნული ყრილობის ჩატარების მნიშვნელობას, კონგრესის არჩევნებს...

შემდეგ მთავრობის სახლთან გამართული მიტინგის მონაწილეებმა გადაინაცვლეს ეროვნულ სტადიონზე, რათა საღამოს გაგრძონ თავიანთი კრება.

...თბილისის ქუჩებში ბედაურებს დაადგელვებენ დროშიანი მხედრები, მაგ, თეთრსა და შვინდისფერ ჩოხებში გამოწყობილან ყმაწვილები. ისე ვიზეიმოთ, როგორც ეს ერთიან, თავისუფალ საქართველოს შვენისო, ამაყად ამბობს მხცოვანი კაცი... ფოტოაპარატებს ანიჩაკუნებენ უცხოელები, ცხოველი ინტერესით აკვირდებიან ირგვლივ ყველაფერს. 26 მაისს ულოცავენ ნაცნობ-უცნობნი ერთმანეთს, ერთი თაყვანრობდიან მეორეზე მიიჩქარიან ადამიანები, ყველგან ყოფნა სურთ, ყველაფრის მოსწრება, ყველაფრის გაგება...

იმავე დღის საღამოს მიტინგი, რომელიც მოაწყვეს „მრგვალი მაგიდის“ წევრებმა პარტიებმა და მოძრაობებმა, და რომელზეც მოვიდა ათასობით თბილისელი და დედაქალაქის სტუმარი, გაიმართა 26 მაისის სახელობის სტადიონზე, ვაკეში.

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). შემთხვევითი როდია, რომ აფხაზეთის გზებზე დღეს ყოველ ნაბიჯზე ჯავშანტრანსპორტიორები დგანან და საპატრულო სამსახურს ეწევიან შინაგან საქმეთა ქვეგანყოფების გაძლიერებული საგუშაგოები. ამის მიუხედავად, ქალაქებში — სოხუმში, გაგრაში, გულრიფშის, გალის, ოჩამჩირის და ავტონომიური რესპუბლიკის სხვა რეგიონებში ჩატარდა ქართველი ხალხის ცხოვრების სასიცოცხლო მოვლენისადმი, 26 მაისისადმი მიძღვნილი სანქცირებული მრავალათასიანი მიტინგები.

სოხუმში მიტინგის მონაწილეებს დღესასწაული მიულოცეს და თავიანთი სოლიდარობა გამოუცხადეს ლიტვიდან ჩამოსული დელეგაციის წევრებმა.

სამშუხაროდ, დღესასწაულმა მაინც არ ჩაიარა ექსცესების გარეშე. გაგრაში, სტადიონზე, სადაც მიტინგი ტარდებოდა, მის მონაწილეებს ექსტრემისტებმა, რომლებსაც არ სურთ ქართველი და აფხაზი ხალხის კეთილი ურთიერთდამოკიდებულება, ქვები დაუშინეს. რამდენიმე კაცი დაშავდა.

ამის გამო აღშფოთებული მიტინგის მონაწილეები გაემართნენ პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტისაკენ. მათ მოითხოვეს საზოგადოებრივი წესრიგის უზენაეს ძალებს დამრღვევთა ექსტრემისტული ნაწილის ადგილზე დაჭერა. რამდენიმე საათის შემდეგ ეს ბრალდებულ-მოკვდებულება, ქვები დაუშინეს. რამდენიმე კაცი დაშავდა.

ამის გამო აღშფოთებული მიტინგის მონაწილეები გაემართნენ პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტისაკენ. მათ მოითხოვეს საზოგადოებრივი წესრიგის უზენაეს ძალებს ექსტრემისტული ნაწილის ადგილზე დაჭერა. რამდენიმე კაცი დაშავდა.

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 26 მაისი. ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე, ქალაქის ხელისუფლებისა და საწარმო-დაწესებულებების შენობებზე, საცხოვრებელ სახლებზე აღმართულია ეროვნული დროშები. ხალხმრავალ პარკებსა და ბულვარში ხალხი სეირნობს, იმსმენ ეროვნულ-პატრიოტიული სიმღერები. კინოთეატრის ეკრანები დაეთმო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს. მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში დიდი კონცერტი მართა 26 მაისის სახელობის სტადიონზე, ვაკეში.

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). შემთხვევითი როდია, რომ აფხაზეთის გზებზე დღეს ყოველ ნაბიჯზე ჯავშანტრანსპორტიორები დგანან და საპატრულო სამსახურს ეწევიან შინაგან საქმეთა ქვეგანყოფების გაძლიერებული საგუშაგოები. ამის მიუხედავად, ქალაქებში — სოხუმში, გაგრაში, გულრიფშის, გალის, ოჩამჩირის და ავტონომიური რესპუბლიკის სხვა რეგიონებში ჩატარდა ქართველი ხალხის ცხოვრების სასიცოცხლო მოვლენისადმი, 26 მაისისადმი მიძღვნილი სანქცირებული მრავალათასიანი მიტინგები.

სოხუმში მიტინგის მონაწილეებს დღესასწაული მიულოცეს და თავიანთი სოლიდარობა გამოუცხადეს ლიტვიდან ჩამოსული დელეგაციის წევრებმა.

სამშუხაროდ, დღესასწაულმა მაინც არ ჩაიარა ექსცესების გარეშე. გაგრაში, სტადიონზე, სადაც მიტინგი ტარდებოდა, მის მონაწილეებს ექსტრემისტებმა, რომლებსაც არ სურთ ქართველი და აფხაზი ხალხის კეთილი ურთიერთდამოკიდებულება, ქვები დაუშინეს. რამდენიმე კაცი დაშავდა.

ამის გამო აღშფოთებული მიტინგის მონაწილეები გაემართნენ პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტისაკენ. მათ მოითხოვეს საზოგადოებრივი წესრიგის უზენაეს ძალებს ექსტრემისტული ნაწილის ადგილზე დაჭერა. ეს ბრალდებულ-მოკვდებულ